# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულოს

# განკარგულება № 92

# 2024 წლის 14 ივნისი

# ქ. გორი

**ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის კვეთაზე ბოძკინტების და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ**

ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის კვეთაზე, საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად შეისწავლა ზემო აღნიშნული ლოკაცია და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დანართში წარმოდგენილი სქემის მიხედვით განათავსდეს საგზაო ნიშნები და ბოძკინტები.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ლოკაციაზე განთავსდეს საგზაო ნიშნები და ბოძკინტები სიტუაციური სქემის შესაბამისად.

საგზაო ნიშნების და ბოძკინტების განთავსების სიტუაციური სქემის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის კვეთაზე განთავსდეს ბოძკინტები და საგზაო ნიშნები თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **დავით რაზმაძე**

2.3 - დაუთმე გზა
8.13 - მთავარი გზის მიმართულება
4.1.1 - მოძღაობა პირდაპირ
2.1 - მთავარი გზა
5.5 - ცალმხრივ მოძრაობიანი გზა
NAPR
2.3 - დაუთმე გზა
4.1.5 - მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ
4.1.5 - მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ
2.1 - მთავარი გზა
8.13 - მთავარი გზის მიმართულება
2.3 - დაუთმე გზა
5.7.1 - ცალმხრივ მოძრაობიაინ გზაზე გასვლა
44.113614, 41.978101
1 : 867
გეოგრაფიული (გრძედი,განა